MICE მომსახურება

შეხვედრები, წამახალისებელი აქტივობები, კონფერენციები, გამოფენები/ღონისძიებები

MICE ბიზნესი ეხება ტურიზმის ინდუსტრიის სპეციფიკურ ნიშას, რომელიც ფოკუსირებულია ისეთი ღონისძიებების დაგეგმვაზე, ორგანიზებაზე და მასპინძლობაზე, როგორიცაა კონფერენციები, სავაჭრო გამოფენები, კორპორატიული შეხვედრები, წამახალისებელი მოგზაურობის პროგრამები და გამოფენები.



ეს სექტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკურ განვითარებაში და როგორც ტურიზმის, ასევე საქმიანი ურთიერთობების გაძლიერებაში. ის აერთიანებს პროფესიონალებს, ორგანიზაციებსა და ინდუსტრიებს, ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებას, ბიზნეს თანამშრომლობას და ეკონომიკურ ზრდას.

ივენთივში ჩვენ სპეციალიზირებულნი ვართ უპრეცედენტო MICE სერვისების მიწოდებაში, რომელიც მორგებულია თქვენს უნიკალურ ბიზნეს საჭიროებებზე. ნთუზიაზმით სავსე გუნდით და წარმატებული ღონისძიებების ორგანიზების ისტორიით, ჩვენ ვართ თქვენი სანდო პარტნიორი დასამახსოვრებელი გამოცდილების შესაქმნელად.

შეხვედრები

ბიზნეს შეხვედრები თანამშრომლობის, ინოვაციებისა და პროგრესის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ივენთივში გვესმის ის უმნიშვნელოვანესი როლი, რომელსაც ბიზნეს შეხვედრა თამაშობს MICE ინდუსტრიაში, შესაბამისად ორგანიზებას ვუწევთ ისეთ შეხვედრებს, რომლებიც მომხმარებლის მოლოდინს ყოველთვის აჭარბებს. ვენ, ივენთივის გუნდი, ვამაყობთ საკუთარი შესაძლებლობებით, რაც მოიცავს საქმიანი შეხვედრების უნაკლოდ დაგეგმვასა და განხორციელებას.

ივენთივი შეხვედრების ოგრანიზებას ახდენს კლიენტების პრეფერენციებისა და ინდივიდუალური მოთხოვნების მიხედვით. ჩვენთვის პრიორიტეტულია უახლესი ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტების გამოყენება ჩვენ მიერ დაგეგმილი შეხვედრების დროს - კომუნიკაციისა და ურთიერთქმედების გასაძლიერებლად. პროფესიონალებისგან შემდგარი ჩვენი გუნდი იყენებს საკუთარ მრავალწლიან გამოცდილებას, კრეატიულობასა და კლიენტზე ორიენტირებულ მიდგომას - ჩვენ მიერ ორგანიზებულ ყველა შეხვედრაზე.

ჩვენ გთავაზობთ

- **კორპორატიული შეხვედრების დაგეგმვა**

კორპორატიული შეხვედრების ზედმიწევნით დაგეგმვა და შესრულება, რომელიც მიზნად ისახავს გუნდური თანამშრომლობის, პროდუქტიულობისა და ჩართულობის გაძლიერებას. ადგილის შერჩევით დაწყებული, დღის წესრიგის დაგეგმვით დამთავრებული, ივენთივი თითოეულ დეტალზე იღებს პასუხისმგებლობას, რათა უზრუნველვყოთ იდეალური ღონისძიება.

- **კონფერენციის სტრატეგიული მენეჯმენტი**

ჩვენ მიერ შემუშავებული კონფერენციები, მორგებულია ცოდნის გაცვლის, იდეების გაზიარებისა და ქსელის შესაძლებლობების გასაადვილებლად. ჩვენ ვგეგმავთ და ვახორციელებთ თითოეულ ნაბიჯს და ვმართავთ ლოჯისტიკას წარმატებული და პროდუქტიული ღონისძიების უზრუნველსაყოფად. შეხვედრის პერსონალიზირებული დაგეგმვა, რომელიც შეესაბამება თქვენს მიზნებსა და პრეფერენციებს.

- **ერსონალიზირებული გადაწყვეტილებები**

ჩვენი სერვისები მორგებულია თქვენს საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს შეხვედრის პერსონალიზებულ და ეფექტურ გამოცდილებას.

წამახალისებელი აქტივობები

თიმბილდინგი

სტიმულები MICE სექტორში წარმოადგენს წამახალისებელ აქტივობას, რომელიც შექმნილია თანამშრომლებში მოტივაციის ასამაღლებლად. ივენთივში ჩვენ სპეციალიზირებულნი ვართ წამახალისებელი აქტივობების მრავალფეროვანი ასორტიმენტის კურირებაში, რომლებიც მორგებულია თანამშრომლების და კომპანიის პრეფერენციებზე.

ჩვენი შეთავაზებები მოიცავს წამახალისებელი მოგზაურობის დაგეგმვას, დაჯილდოების პროგრამებს, ექსკლუზიურ და დასამახსოვრებელ გამოცდილებას, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომელთა გუნდის შეკვრას და მათში მოტივაციის ამაღლებას.

ივენთივთან პარტნიორობა წამახალისებელი აქტივობების ორგანიზებაში უზრუნველყოფს სიზუსტის, კრეატიულობისა და კლიენტზე ორიენტირებული მიდგომის ერთობლიობას.

თიმბილდინგი

თიმბილდინგი მოიცავს ისეთ აქტივობებს, რომლებიც შექმნილია ორგანიზაციის შიგნით ჯგუფის ან გუნდის წევრებს შორის თანამშრომლობის, კომუნიკაციის, ნდობისა და ერთიანობის გასაძლიერებლად. მისი მიზანია გააუმჯობესოს თანამშრომელთა პერფორმანსი, ხელი შეუწყოს პოზიტიურ სამუშაო გარემოს და გააძლიეროს ურთიერთობები გუნდის წევრებს შორის.

თანამშრომელთა შეკრული გუნდის ჩამოყალიბება ნებისმიერი ორგანიზაციისთვის გადამწყვეტ როლს თამაშობს, რადგან სწორედ ეს განაპირობებს მჭიდრო კავშირს და ეფექტურ კომუნიკაციას გუნდის წევრებს შორის. თიმბილდინგის აქტივობები ხელს უწყობს პრობლემების გადაჭრას, ამაღლებს კრეატიულობის დონეს და აუმჯობესებს ურთიერთობას თანამშრომლებს შორის.

ივენთივის გამოცდილება, დეტალებზე ორიენტირებულობა და თავდადება წამახალისებელი აქტივობების იდეალურად განხორციელების გარანტიას იძლევა.
დღესდღეობით ბიზნეს ინდუსტრიაში მასტიმულირებელი ღონისძებები გადამწყვეტ როლს თამაშობს, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ თანამშრომლების მოტივაციის, ჩართულობის და პერფორმანსის გასაძლიერებისთვის საჭირო მძლავრ ინსტრუმენტებს.
ივენთივი წამახალისებელ აქტივობებს თქვენი გუნდის წარმატებისა და ორგანიზაციული ზრდის მამოძრავებელ ძალად აქცევს.
ჩენს გუნდს შუძლია ყველა ღონისძიება გადააქციოს სამახსოვრო გამოცდილებად, რომელიც თქვენს თანამშრომლებს შთააგონებს და უბიძგებს წარმატებისკენ MICE ინდუსტრიაში.

ჩვენ გთავაზობთ

- **პერსონალიზირებული წამახალისებელი მოგზაურობის დაგეგმვა**
- **დაჯილდოების პროგრამები და ცერემონიალი**
- **სხვადასხვა გუნდური აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება**

კონფერენციები

ივენთივი არის ერთ-ერთი წამყვანი ივენთ კომპანია, რომელიც ორგანიზებას უკეთებს მრავალფეროვან და ინოვაციურ კონფერენციებს.

კომპანია ივენთივში ჩვენ გვესმის კონფერენციების უმთავრესი მნიშვნელობა და მათი როლი ბიზნეს ინდუსტრიებისა და კომპანიების ჩამოყალიბებაში. ჩვენ მზად ვართ განვახორციელოთ უნაკლოდ დაგეგმილი კონფერენციები, რომლებიც სცილდება სტანდარტებს და შევქმნათ დინამიური ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს მნიშვნელოვანი დისკუსიებისა და ინტერაქციული გარემოს ჩამოყალიბებას. იქნება ეს ინდუსტრიის ფართომასშტაბიანი კონვენცია, ფოკუსირებული სიმპოზიუმი თუ კორპორატიული შეკრება, ივენთივში ვიყენებთ ჩვენს მრავალწლიან გამოცდილებას, კრეატიულობასა და მომხმარებელზე ორიენტირებულ მიდგომას, რათა ჩენ მიერ ორგანიზებულმა თითოეულმა ღონისძიებამ კომპანიის წინსვლა განაპირობოს.

ჩვენ გთავაზობთ

- **კონფერენციის ზედმიწევნით დაგეგმვა და კოორდინაცია**
- **დღის წესრიგის სტრატეგიული დაგეგმვა**
- **ადგილის შერჩევა და ლოჯისტიკის მენეჯმენტი**
- **ღონისძიების ადგილზე კოორდინირება**
- **საჭირო აუდიოვიზუალითა და ტექნიკით უზრუნველყოფა**
- **კონფერენციის პერსონალიზირებული ბრენდინგი**
- **კონფერენციის შემდგომი შეფასება და ანალიზი**

ღონისძიებები და გამოფენები

გამოფენები MICE ინდუსტრიის ერთ-ერთ ძირითადი ელემენტია, რაც საშუალებას აძლევს ბიზნესებს, წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლებლობები და შეთავაზებები გავითარების პერსპექტივით.

ეს ღონისძიებები ემსახურება ბიზნესების მხრიდან თავიანთი პროდუქტების, მომსახურებისა და ინოვაციების წარდგენას სამიზნე აუდიტორიისთვის.

გამოფენები და ღონისძიებები ხელს უწყობს პოტენციურ კლიენტებთან უშუალო ინტერაქციას, რაც განაპირობებს ღირებული კავშირების შექმნასა და ჩამოყალიბებას.

კომპანიებისთვის გამოფენებში მონაწილეობა გადამწყვეტია თავიანთი ბრენდის ექსპოზიციისთვის, ბაზრის გაფართოებისა და ინდუსტრიის ტენდენციების ჩამოყალიბებისთვის.

ჩვენ გთავაზობთ

- **ღონისძიებების და გამოფენების კონცეპტუალიზაცია და თემატიკის განსაზღვრა**
- **ადგილის შერჩევა და განლაგების დიზაინი**
- **გამოფენისა და ღონისძიების მარკეტინგისა და პიარის სტრატეგია**
- **ლოჯისტიკა და ადგილობრივი მენეჯმენტი**
- **აუდიოვიზუალური უზრუნველყოფა**
- **ღონისძიებაზე მორგებული ბრენდინგი**
- **გამოფენის და ღონისძიების შემდგომი შეფასება და ანალიზი**

eventive

events and more

დაგვიკავშირდით

Info@eventive.ge
www.eventive.ge
95 Ivovi street
+995 551 10 15 01